საინფორმაციო ომი

(რუსეთს-უკრაინის 2022 წლის ომის პირველი ეტაპი)

მარიამ ტაბატაძე

ხატია მგელაძე

ნატო ბრეგვაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე საზოგადოებრივი ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: საზოგადოებრივი ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თორნიკე გურული

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2022

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად“.

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, კვლევის განხორციელების პროცესში გაწეული დახმარებისთვის და კვლევაში მონაწილე თითოეულ ადამიანს, კვლევისთვის საჭირო ინფორმაციის გაზიარებისთვის.

აბსტრაქტი

საინფორმაციო ომი ყოველთვის არსებობდა, ომის ამ საშუალებას სახელმწიფო თუ არასახელმწიფო აქტორები ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მიმართავდნენ. განსხვავებული იყო მხოლოდ საინფორმაციო ომის განხორციელების მეთოდები, რომელიც დროთა განმავლობაში კაცობრიობის განვითარებასთან ერთად დაიხვეწა და შეიცვალა. საინფორმაციო ომი საკმაოდ აქტუალური საკითხია, არსებობს არაერთი მკვლევარი ვინც სხვადასხვა პერიოდში იკვლია ეს თემა. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ საინფორმაციო ომი როგორც თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევა, განსაკუთრებით კი დემოკრატიული სახელმწიფოების, ისეთი აქტუალური არასოდეს ყოფილა როგორც დღეს. განსაკუთრებით ამ საკითხის მნიშვნელოვნება გამოჩნდა რუსეთ-უკრაინის 2022 წლის ომში, რომლის დროსაც საინფორმაციო ომმა უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა ქვეყნების პოლიტიკური მიზნების მიღწევის პროცესში. რუსეთ-უკრაინის ომში განხორციელებული საინფორმაციო ომმა განაპირობა ის რომ არაერთმა დემოკრატიულმა ქვეყანამ ეს პრობლემა წამყვან პოლიტიკურ საკითხად დაასახელა. აქედან გამომდინარე კვლევის მთავარ საკითხს წარმოადგენდა სწორედ საინფორმაციო ომი, მისი ისტორია, განვითარების ეტაპები, რუსეთის მიერ საინფორმაციო ომის განხორციელების ფაქტები, მისი პრევენციის საშუალებები, საინფორმაციო ომის სახეები და მეთოდები რისი საშუალებითაც ქვეყნები ახორციელებენ აღნიშნული ომის ტიპს. დღევანდელი მოვლენებიდან გამომდინარე კი კვლევაში მთავარი აქცენტი დაეთმო უშუალოდ რუსეთ-უკრაინის ომის პირველ ეტაპზე განხორციელებულ საინფორმაციო ომს და უკრაინის მიერ წარმოებულ სტრატეგიულ კომუნიკაციებს.კვლევის მთავარი მიზანი იყო დადგენილიყო რა როლს თამაშობს დღემდე საინფორმაციო ომი რუსეთის პოლიტიკური მიზნების მიღწევის პროცესში, განსაკუთრებით რუსეთ-უკრაინის 2022 წლის ომის დროს და რა როლი აქვს სტრატეგიულ კომუნიკაციებს საინფორმაციო ომში წარმატების მოსაპოვებლად.

Abstract

Information warfare has always existed and it has been used by state and non-state actors since before our era. The only difference was the methods of carrying out the information warfare, which has evolved and changed over time with the development of humanity. Information warfare is a very topical issue, there are a number of researchers who have studied this topic in different periods. However, it should be noted that information warfare as a challenge to the modern world, especially in democracies, has never been as relevant as it is today. The importance of this issue appeared especially in the Russia-Ukraine war of 2022, during which the information war played an important role in the process of achieving the political goals of the countries. The information war waged during the Russia-Ukraine war has led many democracies to name the problem a leading political issue. Therefore, the main topic of the research was: information warfare, its history, stages of development, facts of information warfare by Russia, means of it's prevention, types of information warfare and methods by which countries carry out this type of warfare. Given the current events, the main focus of the study was on the information war in the first stage of the Russia-Ukraine war and the strategic communications carried out by Ukraine. The main purpose of the study was the determination of the role that the information warfare still plays in achieving Russia's political goals, especially during the Russia-Ukraine war of 2022, and the role of strategic communications in achieving success during the information war.